№ 278 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. სამშაბათი, დეკემბრის 7 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 20 მან. 4-ზე გ. 15 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 500 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 260 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82.

სახელმწ. თეატრი.

ოპერა.

სამშაბათს, 7 დეკემბერს ქართულ ენაზე ოპერა

„ლალატი“

ოთხშაბათს, 8 დეკემბერს პირველად განახ. შემდეგ „ფრა-დიავოლო“, ოთხშაბათს, 9 დეკემბერს პირველად განახ. შემდეგ „ტოსკა“, პარასკევს, 10 დეკემბერს „აბესალომ და ეთერი“.

დასაწყისი სოულ 8 საათზე საღამოს. 1002 1—1

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8-07)

დღეს, დეკემბრის 7-ს მეოთხეჯერ

„უგვირგვინო მეფენი“

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისერი აკაკი ფაღავა.

ხუთშაბათს, დეკემბრის 9-ს და შაბათს, დეკემბრის 11-ს პირველად ქართულ სცენაზე ორიგინალური ტრაღედია

„გერდო-ზმანია“

დეკორაციები განისამოსი მხატვ. ვალ. სიდამონ-ერისთავისა.

მუსიკა დ. არაყიშვილისა. რეჟისორი ალ. ახმეტელი.

ბალეტი და ხორო. ბილეთები კასაში.

1012 1—1

ტფილისის საბაჟო

ამით აცხადებს,

რომ 16 ამა დეკემბერს საბაჟოს ეზოში

საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

ჩამორთმეული კონტრაბანდული საქონლები და აგრეთვე ის საქონლები, რომლებიც ერთი წლის ვადაში არ იყვნენ გამოსყიდულნი.

1019 3—1

სიღნაღის სამაზრო საეროზო გამგეობა

იწვევს

მომრიგებელ მოსამართლეებს ლაგოდეხის, სიღნაღის და ქოდალოს უბანში,

სამაზრო სტატისტიკოსს და სათემო ინსტრუქტორს.

მსურველთ უნდა მიმართონ თხოვნით და შესაფერ საბუთების წარდგენით ზემოაღნიშნულ გამგეობას. ჯამაგირი გამგეობასთან შეთანხმებით.

საერობო გამგეობა.

1018 3—2

## არა ოფიციალური განყოფილება.

# მთავრობაში.

### უკანასკნელი დადგენილებანი.

მთავრობამ, მოისმინა რა მოხსენება მთავრობის თავმჯდომარისა ღვიმევისა და გელათის მონასტერთა მდგომარეობის შესახებ, დაადგინა: იმ ღირებულებათა დასაცავად, რომელთაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს დეკემბრის 1-დან დაწყებული 10 მილიონიან ფონდიდან ყოველთვიურად გაღებულ იქნას ღვიმევის მონასტრისთვის 10.000 მან. და გელათის მონასტრისთვის 20.000 მან.

— თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებისა მთავრობამ დაადგინა: დეკემბრის პირველიდან სოხუმის ეპარქიას ყოველთვიურად 25.000 მან. აძლიონ.

— თანახმად ფინანსთა მინისტრის მოხსენებისა მთავრობამ დაადგინა; სახელმწიფო ქალალდთა დამზადებელ ექსპედიციის ახალი შენობის ასაგებათ დამატებით გაღებულ იქნას სათანადო თანხა.

— მთავრობამ მოისმინა რა იუსტიციის მინისტრის მოხსენება სადგომებზე უდიდეს ფასების დაწესების დეკრეტის პროექტის შესახებ, დაადგინა: მიიღოს პროექტი მუხლში შეტანილ შესწორებით.

— მთავრობამ დაადგინა, 1920 წლ. ივნისს 19 სოხუმის საგანგებო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი მეჯიდი გოგუპოროვის დახვრეტის შესახებ დამნაშავეს 15 წლის კატორღით შეეცვალოს.

# დამფუძნებელი კრება

### 3 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ხ. მდივანი.

### მთავრობის თავმჯდომარის ნ. ჟორდანიას განცხადება.

მოქალაქენო, მე მაქვს პატარა განცხადება იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც შევიტანეთ ჩვენს მთავრობაში. ეს ცვლილება უპირველესად ყოვლისა ეხება იმას, რომ ჩვენ დავაარსეთ განათლების სამინისტრო, როგორც ცალკე სამინისტრო. ახლამდე, როგორც იცით, განათლების და შინაგან საქმეთა სამინისტროები შეერთებული იყო. ეს გარემოება გამოწვეული იყო იმით, რომ განათლების სამინისტროს მივცეთ უფრო ფართო ხასიათი, ვიდრე იყო აქამდე. აქ იქნება, როგორც განათლების, ხელოვნების, ისე კულტის, რელიგიის საქმე. და ჩვენ გვინდა ამ სამინისტროს დაუკავშიროთ ყველა კულტურული და განმანათლებელი სექციები.

დანარჩენი სამინისტროები რჩებიან ისე, როგორც იყო. განათლების მინისტრად მე მოვიწვიე გრ. ლორთქიფანიძე, სამხედრო მინისტრად—პარმენ ჭიჭინაძე, მხოლოდ ნაცვლად ნ. ხომერიკისა, რომელმაც დასტოვა თავის სამინისტრო, მოვიწვიე დავით ონიაშვილი.

გარდა ამისა მე დავინახე საჭიროდ შემექმნა ერთი მუდმივი თანამდებობა. მთავრობის თავმჯდომარეს, როგორც იცით, არ ჰყავდა არც ამხანაგი და არც მუდმივი მოადგილე. მართალია, მთავრობის თავმჯდომარეს ჰყავდა მოადგილე, მაგრამ ეს მოადგილე მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობას მხოლოდ მაშინ ასრულებდა, როცა მთავრობის თავმჯდომარე ტფილისში არ იმყოფებოდა.

ამ ბოლო დროს მთავრობის თავმჯდომარის საქმეები მეტად გაიზარდა და უნდა მოგახსენოთ, რომ მე ამ საქმეებს ვერ ვასწრებ; რომ ეს რთული საქმეები მოგვარდეს, აუცილებლათ საჭიროა მთავრობის თავმჯდომარეს ჰყავდეს მუდმივი მოადგილე, რომელიც ეწევა მუდმივ მუშაობას მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად. აი ასეთი თანამდებობის დაწესება აუცილებლად საჭიროდ მიმაჩნია. ეს გააუმჯობესებს და გააკეთებს ჩვენს საქმეებს. ასეთ პირად მე დავასახელე გრ. ლორთქიფანიძე, ე. ი. განათლების მინისტრი იქნება ამავე დროს მთავრობის თავმჯდომარის მუდმივი მოადგილე. აი ეს არის ჩემი განცხადება.

მსჯელობა მთავრობის განცხადების გამო დამფ. კრებამ გადასდო მომავალ პარასკევის სხდომისათვის.

შემდეგ ქრ. შარაშიძის ახულის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი კანონისა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის შესახებ.

გ. თევზაია მოახსენებს კრებას კანონ-პროექტს არტაანის ოლქის ადმინისტრაცია-მილიციის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ არტაანის ოლქში ჩვენი ადმინისტრაცია მოქმედობს იმ ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც შეიმუშავა განსაკუთრებულმა რწმუნებულმა. აქამდე ამ ოლქის ადმინისტრაციას ჯამაგირი ეძლეოდა განსაკუთრებული ფონდიდან. ამ კანონ-პროექტში კი აღნიშნულია ადმინისტრაცია-მილიციის შტატები და ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც კომისიამ მიიღო და შუამდგომლობს დამფუძნებელი კრების წინაშე, რომ ის მიიღოს.

გრ. რცხილაძე (ს. ფ.) აღნიშნავს, რომ არტაანის ოლქში ჩვენი ადმინისტრაცია არსებობს განსაკუთრებულ წესით. ჩვენი კანონი ადგილობრივი მმართველობის და თვითმართველობის შესახებ იქ არ არის გატარებული. ადმინისტრაცია კი იქ არსებობს. იბადება საკითხი: რა უფლებრივ ნიადაგზე ემყარება არტაანის ოლქის ადმინისტრაცია? მე ვეძიე კანონი, მაგრამ ასეთი კანონი ვერ ვნახე ამიტომ, დამფუძნებელმა კრებამ ეს შტატები უნდა დაამტკიცოს, მაგრამ სამინისტრომ იმ ოლქში ან უნდა გაატაროს კანონი ადგილობრივ მმართველობის და თვითმართველობის შესახებ ან და განსაკუთრებული წესები შეიმუშავოსდა დამფუძნებელ კრებას წარმოუდგინოს განსახილველად.

გ. თევზაია (მომხსენებელი) უპასუხებს რცხილაძეს, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ყველგან არ არის მოწყობილი ადგილობრივი თვითმართველობა. არის ისეთი ადგილები, სადაც თემები დღესაც არ არის მოწყობილი. არტაანის ოლქი განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები არც იქ არის მოწყობილი. უნდა განვაცხადო, ბ. გრ. რცხილაძის საყურადღებოდ, რომ იმ ადგილებში, სადაც ადგილობრივი თვითმართველობა არ არის მოწყობილი, მოქმედებენ რუსეთის ძველი კანონების მიხედვით. ამ მხრივ უფლებრივად ასეთ ადგილებში ადმინისტრაციის მოქმედება აშენებულია ჩვენში მოქმედ კანონებზე.

საზოგადო მსჯელობა ამით გათავდა.

მუხლობრივი განხილვა კანონ-პროექტისა მოხდება სათანადო ვადის გასვლის შემდეგ.

# ე. პ. გეგეჭკორი ლონდონში.

სექტ. 7—ოქტ. 1-დის ე. პ. გეგეჭკორმა დაჰყო ლონდონში, სადაც მან ინახულა ყველა პარტიის გავლენიანი მოღვაწენი და ინგლისის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ხელმძღვანელნი. ე. პ. გეგეჭკორი მათთან მოლაპარაკებას აწარმოებდა საქართველოს რესპუბლიკის „დე იურე“ ცნობის შესახებ.

სექტ. 18. ე. პ. გეგეჭკორმა ინახულა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი კერზონი. ამ შეხვედრისას განხილულ იქმნა ძირითადათ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიულათ ცნობასთან შეკავშირებული საკითხები. საუბარმა საათ ნახევარს გასტანა.

სექტ. 26. ე. პ. გეგეჭკორი თემთა პალატაში მიიწვია დეპუტატმა ვილიამსმა (ლიბერალი). თემთა პალატაში გეგეჭკორს გაუკეთეს საუზმე, რომელზედაც დაესწრენ როგორც ლიბერალურ აგრეთვე კონსერვატიულ პარტიის წარმომადგენლები. აქ ე. პ. გეგეჭკორმა დეპუტატებს გააცნო საქართველოს მდგომარეობა, გადასცა მათ სათანადო მემორანდუმი და სთხოვა მათ საქართველოს საკითხი განეხილათ თემთა პალატაში. დეპუტატები დიდის ინტერესით შეხვდენ მის მოხსენებას და დაჰპირდენ პალატაში საქართველოს რესპუბლიკის საკითხის აღძვრას.

საქართველოს მდგომარეობისა და მის იურიდიულათ ცნობის შესახებ ე. გეგეჭკორი მოლაპარაკებას აწარმოებდა აგრეთვე ლორდთა პალატის წარმომადგენელ ლორდ-რობერტ სესილთან, (ინგ. დელეგატია ერთა ლიგაში), და ლორდ ბრაისთან.

ე. პ. გეგეჭკორს რამდენიმე საქმიანი შეხვედრა ჰქონდა ინგლისის მუშათა პარტიის წარმომადგენელ—გენდერსონ, ტომას შოუსა და მაკდონალდთან.

ე. პ. გეგეჭკორს სურდა ლოიდ ჯორჯთან შეხვედრა. მაგრამ ეს შეხვედრა არ მოხდა იმ საგანგებო ამბების გამო, რომლებმაც ინგლისის პრემიერ მინისტრის მთელი დრო მოინდომა. ლონდონიდან გამგზავრების წინადღით გეგეჭკორმა ლოიდ ჯორჯისაგან მიიღო წერილი, სადაც ინგლისის მთავრობის თავმჯდომარე იმედს გამოსთქვამს, რომ მოკლე დროში მას საშუალება ექნება საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან პირადი შეხვედრისა.

# ახალი ამბები

✦ **1920—1921 წლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი.** ფინანსთა სამინისტრომ დამფუძნებელ კრების საბიუჯეტო საფინანსო კომისიაში წარადგინა 1920—1921 წ. ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი. გასავალის ხარჯთ აღრიცხვა უდრის 8,552,414,771 მან. წარსულ წელთა შედარებით მეტად გადიდებულია ხარჯთ აღრიცხვა, რაც არა მარტო ხარჯების გადიდებით, არამედ უმთავრესად ფულის კურსის დაცემით აიხსნება. ახალ ხარჯთ-აღრიცხვაში ყველაზე უფრო დიდ თანხას მოითხოვს მომარაგების საქმე. კულტურ.-განმანათლებელი საქმეებისათვის გადადებული თანხა მთელი ხარჯთ აღრიცხვის 31½% უდრის. რესპუბლიკის თითეულ მცხოვრებს კულტურულ საქმისათვის გადასახადად ედება 898 მან.; ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის კი 472 მან., რაც წლიურ გასავლის 16,64% უდრის.

✦ **მატყლის დარიგება.** მომარაგების სამინისტრო იუწყება: სამინისტროს მიერ 1920 წ. ოქტ. 8, გამოცხადებული ფასები მატყლზე. ცხოვრების საერთო გაძვირებისა და სხვა და სხვა მიზეზების გამო, გადიდებულია. მცხოვრებთ მატყლი რაიონულ კოოპერატივების საშუალებით დაურიგდებათ.

✦ **ხიმინდი.** მომარაგების სამინისტრო მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემსს" დაპირდა 20,000 ფუთ სიმინდს, რომელიც ამ საზოგადოების წევრ მწყემსებს უნდა დაურიგდეს.

✦ **რკინის გზელთა კონფერენცია.** რკინის გზ. კონფერენციამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადასტურა რკ. გზ. კავშირის ცენტრალურ გამგეობის დადგენილება რკ. გზელთა ყრილობის დეკემბრის 25-თვის მოწვევის შესახებ. რკ. გზ. მოსამსახურეთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხის განხილვის შემდეგ, კონფერენციამ დაადგინა, რომ რკ. გზელებს გარდა პირველ საჭიროებების საგნებით დახმარებისა, უნდა უწევდენ ფულით დახმარებასაც. ამას გარდა კონფერენციამ მიიღო რკ. გზ. მომვალ ყრილობის შემდეგი დღიური წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი; 2) გამგეობის მოხსენებანი; 3) კავშირის რეკონსტრუქცია; 4) რკინის გზელთა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება; 5) მუშათა კოოპერატივების დაარსება და სხვა.

✦ **მარგანეცის ელევატორები.** ფოთში შესდგა სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი მარგანეცის ელევატორის ამუშავების შესახებ. გამოირკვა, რომ შესწორება დამთავრდება 1921 წლ. იანვარს. გადაწყვეტილია გააღრმავონ ნავთსადგური და გააფართოონ რკინის გზები.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავალი.** სექტემბერში ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავალმა მოგვცა დიდი განსხვავება წარსული წლის სექტემბერთან შედარებით. წელს შემოვიდა 3½ მილ. მან. ე. ი. 1919 წლ. შედარებით ორი მილ. მან. მეტი.

✦ **მისალმება დამფუძნებელ კრებას.**

დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის სახელზე გორის რაიონის სახალხო გვარდიის დელეგატთა ყრილობის მიერ გამოგზავნილია მისასალმებელი დეპეში. გორის გვარდია უსურვებს რა კეთილდღეობის დამფუძნებელ კრებას, აღნიშნავს, რომ იგი მუდამ მზად არის სიცოცხლე შესწიროს საქართველოს თავისუფლების დაცვას და სათანადო პასუხი გასცეს სამშობლოს მტრებს.

✦ **შრომის დაჯილდოება.** ტფილისის პროფ. კავშირთა საბჭომ დეკ. 3 სხდომაზე ერთხმად მიიღო შრომის სამინისტროს მიერ დამუშავებული პროექტი შრომის დაჯილდოების შესახებ იმ შესწორებებით, რომლებიც შეიტანა შიგ საქართველოს პროფ. კავშირთა საბჭოს საკანონმდებლო კომისიამ.

✦ **მიწად-მოქმედების მინისტრი დ. ონიაშვილი** დეკ. 4 შეუდგა თავის მოვალეობას ასრულებას. მთხოვნელთა მიღება იწარმოებს ორშაბათსა და სამშაბათობით 10—11 საათამდე.

## ბოლშევიკების არა ლეგალური მუშაობა ჩვენში

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს დეპეშათა სააგენტოს შემდეგი ცნობა გადასცა გამოსაქვეყნებლათ:

ბოლო დროს გაცხოველდა ჩვენში კომუნისტების არა ლეგალური მუშაობა: ისინი უცხო სახელმწიფოს აგენტებათ გვევლინებიან და მის სასარგებლოთ ზოგიერთ კომუნისტები სამხედრო დაზვერვასაც არ თაკილობენ.

1920 წლის ნოემბრის 6 სად. სალოღლში საბაჟოს მიერ მატარებლის გაჩხრეკის დროს იქნა აღმოჩენილი ერთი ორ ძირიანი ჩემოდანი. ჩემოდანის გატეხისას პირსა და ძირს შუა აღმოჩნდა ცარიელი ადგილი, სადაც მოთავსებული იყო ჩვენი რესპუბლიკის გაზეთები და ბაქოს კომუნისტებისადმი მიწერილი წერილები. რამდენიმე ცალი სხვა და სხვა შინაარსის ბრძანებანი სამხედრო უწყების მიმართ. ჩემოდანის პატრონი აღმოჩნდა მგზავრი ქალი ლიზა ივანეს ასული არჩვაძე, რომელმაც დაკითხვის დროს განაცხადა შემდეგი: ის არის ლეჩხუმის მაზრის სოფ. ქრებალოს მცხოვრები, 26 წლისა, უქმარ-შვილო, წერა-კითხვა არ იცის. ქუთაისიდან მიდიოდა ბაქოში მის საყვარელ სიმონ მაჩაბელთან, რომელიც იქ სტამბაში მსახურობს. როდესაც წასასვლელად ემზადებოდა, მასთან მოვიდა ერთი უცნობი კაცი და გადასცა ჩემოდანი და სთხოვა გადაეცა მაჩაბელისათვის მან არ იცოდა რა იყო ჩემოდანში.

გაჩხრეკის შემდეგ ჩემოდანში, სხვათა შორის, აღმოჩნდა შემდეგი: ერთი წერილი, რომელიც მიმართულია „ამხ. პუნკე'სადმი", დაწერილია საწერი ქაღალდის ორივე გვერდზე ფანქრით რუსულად და შეიცავს შემდეგს: „ამხ. პუნკე თფილისი 5/10. 28-ს გამოვგზავნე შაქარიკი. ვგზავნი ახლა ამას. ძლიერ მეეჭვება, რომ ის შესძლებს მშვიდობიან მგზავრობას. ის მეტად საიმედოა, ის ცოლია ჩემი და მომცა რა წინადადება სამსახურის გაწევისა, უარი ვერ უთხარი, გზას ის მაინც გაიკვლევს, მხოლოდ წითელი არმიელები ცოტას შეაწუხებენ, არ გაუშვებენ. მე ის დავარიგე, რომ კატეგორიულად მოითხოვოს მისი ბაქომდე მოყვანა და იქ „ოსობი ოტდელის" განკარგულებაში გადაცემა. ერთი სიტყვით, ის მიაღწევს, სხვა კი თავისუფალი არავინ იყო, რომ გამომეგზავნა. ჩემი მუშაობა გაჩაღებულია ყოველ მხრივ: სიღნაღში, ლაგოდეხში, დედოფლის წყაროში, ბორჩალოში, ბათომში, არტაანში, ახალციხეში, ქუთაისში, აჭარაში ყველგან გაგზავნილია სერიოზული პირები.

გაგზავნილია ზაქათალის მხრით, ასე წარმოიდგინეთ, ორის გაგზავნაც კი მოვახერხეთ, ვიკრებ გარშემო საიდუმლოებს, 2 ავადაა გაცეებისაგან. გვიხდება კალოშების, ნაბდების, ფაფახების და საერთოდ თფილი ნივთების შეყიდვა, ამიტომ სასწრაფოთ საჭირო იქნება ფული; რაც გვაქვს, ადრე გამოილევა. ყუთი მანდ დარჩეს. ამხანაგი მოვა. ფულის მისაღები პაროლი იქნება: „ბაყაყი წყალში კიკინებს" მე უკვე გაცნობე, რომ ცხ ნოსანი დივიზიონის ნაწილი უკვე გაგზავნეს 2-ს სანაინის მიმართულებით, 4 კი სრულად გაგზავნეს (1000 კაცი) აქ სულიერი განწყობილება აფორიაქებულია. მე 2 ქვეითა დივიზიონის შტაბში სამი სხდომა იყო: გამოაცხადეს, რომ ყოველი წუთს მზად იყვნენ სანაინის, სალოღლის, ან არტაანისაკენ წასასვლელად. გვარდიელებს გამოუცხადეს, რომ 5 ისთვის მზად იყვნენ. 20-30 კაცს პარტიობით აგზავნიან ადირბეიჯანის საზღვრებისაკენ. მზად არის 1 ტანკი. მზად არის არტაანაში გასამგზავრებლად „პროტოსი" რადიო ავტომობილი (კომანდის შემადგენლობა ჯერ არ ვიცით.) ბაზარზე საზღაპრო ფასებია, სპეკულაცია მძინვარებს, მექრთამეობა, ლოთობა სულ ერთია რა ნაირიც იქნება მთავრობა, ერთი სიტყვით ვერ გაიგებ რა ხდება. ჯარის კაცებს ყველას არ მიუღია საზამთრო ტანისამოსი. კონფლიქტები ეკონომიურ ნიადაგზე მუშებს შორის სერიოზნულ ხასიათს ღებულობს, მმართველ წრებს არევდარევა ემჩნევა. ნავთი ცოტაა მომარაგებული არის ხაშურში, სადგ. აგტაგლიაში და როგორც ამბობენ სანაინში. თფილისში ყველგან გძელი კუდებია. პაგონები მე გამოვგზავნე ოფიცრებისა და სხვა ქვეითი ჯარის 1-დან 12 ბათალიონამდე. ან სალებავებით ხატავენ ციფრებს ან ლითონისას აკეთებენ.

სადარაჯო ბათალიონის პაგონზე კი, სადაც აღნიშნულია ასო „დ" საჭიროა ვინტოვკა როგორც მე 12 ბათალიონისთვის 12-15-ს კიდევ გამოგიგზავნი დაწვრილებით. დიდი დაბრკოლება გვიხდება ამხანაგ შიკრიკების გამოგზავნის საქმეში. ამ დაბრკოლებას, მით უმეტეს ქმნიან მანდ, თუ უფროსებს ეტაფით ან როგორც ისინი მანდ მოჰყავთ თითო კაცს საშუალება ეძლევა საზღვრებზე გადასვლისა, მათ კინწის კვრით უკან მოერეკებიან. შეეძლოთ დაპატიმრება და მიყვანა იქ, სადაც საჭიროა, მაშინ გამოირკვეოდა საქმის შინაარსი არ ვიცი როგორ მოგაწოდო ორ-ორი ეგზემპლიარი გაზეთისა, უცხოეთისას კი ვიყიდით ბათომში. საიდუმლო ყუთი დაიტოვეთ მანდ და როცა 15-ს ამხანაგი მოვა ფულისათვის, ისარგებლებს ხსენებული ყუთით, რომელიც მგონია ჩაიტევს საკმაო თანხას, თუმცა გაზეთებს მეტს აღარ უშვებენ და საჭირო იქნება ახალის შეკეთება. ჩემი მუშაობა ფართოვდება და ღრმავდება ყოველის მხრით. დავშთები, კომუნისტური სალამი. X. თბილისი.

ამის მომტან (ქალს) ხელი შეუწყვეთ ყოველის მხრით."

მეორე წერილში დაწვრილებით აღწერილია ჩვენი ჯარის და გვარდიის რიცხვი, მათი შემადგენლობა, ჩამოთვლილია უფროსები, აღნუსხულია ზარბაზნები, თოფები, ტყვიის მფრქვეველები და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული იმ მხრით ახალციხეს, ბათომს, ქობულეთს, ფოთს, სოხუმს, გაგრას და თბილისს. ამ ადგილების ადმინისტრაციაც აღწერილია. ჩამოთვლილია კომისრების გვარები, მილიციონერები და სხვა.

მესამე წერილი შეიცავს თბილისის არსებული ქალაქის სასურსათო, მომარაგების სამინისტროს და კოოპერატივთა კავშირის მაღაზიების აღწერას. აღწერილია თითოეული მაღაზიის საქონელი ცალკ-ცალკე დაწვრილებით,—სად რამდენი სურსათი ან საქონელია. ამ აღწერას ასეთი წარწერა აქვს: „გიგზავნით იმ სახით, როგორც ჩვენ მივიღეთ 5 ნოემბერს შემთხვევით ამხანაგისაგან, რომელიც გაგებულია ამ საქმეში და საქმესთანაც ახლოს დგას. მას შეიძლება ვენდოთ სავსებით. 5/10".

ამ საქმეზე დაპატიმრებულია რამდენიმე პირი. გამოძიება და დაკავებული საბუთების გასინჯვა გრძელდება.

## სულიერ მამების ქურდობა და უდიერობა

მიმდინარე წლის ნოემბრის 13, ქუთაისის სამაზრო ერობის თავმჯდომარისაგან ბ-ნმა მთავრობის თავმჯდომარემ მიიღო დეპეშა, სადაც მას ერობის თავმჯდომარეატყობინებდა, რომ გელათის მონასტრის ძვირფასი ნივთები იყიდება ბერების მიერ და ზოგიერთი გაყიდული ნივთები დააკავეს. მთავრობის თავმჯდომარემ მაშინვე გააგზავნა თავისი რწმუნებული და მიანდო: თუ ფაქტი ბერების მიერ ნივთების გაყიდვისა დამტკიცდებოდა, მიეღო ყოველივე ზომა გელათის მონასტერში შენახულ ძვირფასს განძეულობის დაცვისათვის და თუ საჭიროდ დაინახავდა გადაეტანა ის სახელმწიფო ხაზინის სალაროში. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ქუთაისის მიტროპოლიტ ნაზარს აგვისტოში ნება მიუცია გელათის მონასტრის წინამძღვარისთვის, რომ მას „გაეყიდნა ისეთი ნივთები, რომელიც საეკლესიო სახმარებლათ არ არის საჭირო". მონასტერში დაცულ საუნჯის სამალავი მთავრობის თავმჯდომარის რწმუნებულს გარღვეული დახვდა და ამის მიზეზად ეკონომიის გამოცვლა დაასახელეს. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ერთ ძვირფასს ხატს რამდენიმე თვალი ახლად აცლილი აქვს და უეჭველია გაყიდულია. რამდენი ნივთები გაიყიდა აგვისტოს შემდეგ—ამის თქმა ჯერ-ჯერობით ძნელია.

ყველა ამის შემდეგ მთავრობის რწმუნებულმა მიიღო ზომები მთელი ამ განძეულობის მონასტრიდან გამოტანისა და მის დასაცავად საიმედო ადგილს.

საკათალიკოსო საბჭომ ამ ორი დღის წინად სთხოვა ბ-ნ მთავრობის თავმჯდომარეს დაენიშნა დრო საკათალიკოსო საბჭოს დელეგაციისათვის აღნიშნულ საქმის გამო მოსალაპარაკებლად. ბ. მთავრობის თავმჯდომარემ მოსალაპარაკებელ დროდ საბჭოს დაუნიშნა დეკემბრის ექვსი 12 საათზე. აღნიშნულ დროზე ბ. მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგა საკათალიკოსო საბჭოს დელეგაცია კათალიკოზ-პატრიარქის ლეონიდეს მეთაურობით. მისვლისთანავე კათალიკოზმა მიმართა მთავრობის თავმჯდომარეს სრულიად დაუშვებელ და შეუწყნარებელ სიტყვებით. მან სამღვდელოების სახელით მთავრობის თავმჯდომარეს გამოუცხადა „გაკიცხვა, აღსაშფოთებელი გულისწყრომა და პროტესტი" სხვა ასეთი სრულიად უდიერი სიტყვებით. ბ. მთავრობის თავმჯდომარემ ამის შემდეგ დელეგაციას განუცხადა: საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი და მისი მთავრობის თავმჯდომარე ასეთ შეურაცხყოფელ სიტყვებს ვერ მოისმენს და ამიტომ მათთან ყოველგვარ ლაპარაკს სწყვეტს. მე ვფიქრობდი განუცხადა თავმჯდომარემ, რომ თქვენ მობრძანდით საქმეზე მოსალაპარაკებლად და არა შეურაცხყოფის მოსაყენებლად. ამის შემდეგ დელეგაცია იძულებული იყო დაეტოვებინა მთავრობის თავმჯდომარის კაბინეთი.

## უცხოეთი

(გაზეთებიდან).

**რუსეთის პოლიტიკური დელეგაციის დეკლარაცია.**

რუსეთის პოლიტიკურ დელეგაციის წევრმა თავ. ლვოვმა, ნ. ვ. ჩაიკოვსკიმ და ვ. ა. მაკლაკოვმა ვრანგელის ჯარის დამარცხების გამო შემდეგ დეკლარაციით მიმართეს რუსეთის ხალხს: „ყოფილ რუსეთის განაპირებში ბოლშევიკებთან ბრძოლა არ შეწყვეტილა. ეს კიდევ ცოტაა. შუა გულ რუსეთში დაიწყო და თანდათან ძლიერდება სტიქიური ბრძოლა, რომელსაც აწარმოებენ არა რეგულიარული ჯარები, არამედ აჯანყებული ხალხი. არავის არ ძალუძს ამ ბრძოლის შეჩერება. ბელო რუსიის ჭაობების რაიონში და ტყეებში, უკრაინის ველებზე, ვოლგის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ნაპირებში, ყველგან ჯანყდება გლეხობა და მოუწოდებენ ბოლშევიკებთან საბრძოლველათ თავის მიწა-წყლის, სარწმუნოების, რუსეთის ყველა ხალხების ფედერატიულ კავშირისათვის და სრული თავისუფლების დასაცავად. გლეხობა არ დაემორჩილა ბოლშევიკებს, არ სცნობს კანონებს და განკარგულებებს. თვითმყრობელობის ბატონობა იმისთვის კი არ დაუმხვიათ რომ ბოლშევიკების ახალ ტირანიის ბრჭყალებში მოიქცეს.

რადგან ძლიერი მასა დაიძრა ადგილიდან მისი მოქმედება ადვილათ არ შეჩერდება. მას ბევრი მიემხრობა, რეგულიარული ჯარიც კი. ხალხი თვით გამოიყვანს თავიანთ წრეებიდან წინამძღოლთ, რომელსაც ენდობა, ხოლო ეს მოძრაობა საჭიროებს შეკავშირებულ დახმარებას და ხელმძღვანელობას. ყველა რუსეთის ხალხი მას უნდა დაეხმაროს,

ბოლშევიკებთან ბრძოლაში მარტონი არ დარჩებიან, ის მარტო რუსეთის კი არა მთელ კაცობრიობისათვის საშიშროებას წარმოადგენს. სამი წელია, რაც რუსეთის ხალხი განუწყვეტლივ ღვრის სისხლს ბოლშევიკებთან ბრძოლაში. ბოლშევიკებთან ბრძოლით მარტო თავის ინტერესებს არ იცავს რუსეთის ხალხი, ბოლშევიზმი მსოფლიო დემოკრატიის მტერია, სანამ ის არ აღმოიფხვრება, მანამ არ იქნება სიწყნარე ევროპაში. ევროპის წინ სდგება ახალი ომის საშიშროება ახლათ შეკავშირებულ ძალების მხრივ. ის ვალდებულია თავი დაიცვას.

რუსეთის პოლიტიკური დელეგაცია თავის ადგილას დარჩება."

**ჩიჩერინი და ქემალ-ფაშა.**

საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა ოსმალოს სახალხო ყრილობის თავმჯდომარის მუსტაფა ქემალ-ფაშის დეპეშა მიიღო, სადაც გამოთქმულია ოსმალეთის მცხოვრებთა აღფრთოვანება რუსეთის მიმართ, რომელიც წელზე მეტია რაც აწარმოებს ბრძოლას მთელი ქვეყნის განთავისუფლების მიზნით და რომელსაც აღფრთოვანებით გადააქვს უმაგალითო ტანჯვა წვალება იმ მიზნით, რომ სამუდამოთ მოისპოს დამჩაგვრელი მთელ ქვეყანაზე. მუსტაფა ქემალ-ფაშა რწმენას გამოსთქვამს, რომ იმ დღეს, როდესაც დასავლეთის მშრომელნი და აზიის და აფრიკის დამონებული ხალხი გაიგებს, რომ საერთაშორისო კაპიტალი სარგებლობს მათი თავის ბატონობის სასარგებლოთ ბურჟუაზიის ძალა უეჭველად დაემხობა. საბჭოთა რუსეთის და ოსმალეთის მტკიცე კავშირი საკმარისი იქნება იმისთვის, რომ დასავლეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ გაერთიანდეს ყველა ის, ვინც მათ ძალა უფლებას იცავდა მორჩილებით, რომელიც დამყარებულია უცოდინარობაზე.

**ფრანგული ცნობები.**

**ლონდონის კონფერენციის შედეგები.**

ინგლისისა, საფრანგეთისა და იტალიის მთავრობის შორის განახლდა მოლაპარაკება შაბათს საუბრის საგანს შეადგენდა რამდენიმე საკითხი, რომელიც წარსულ სხდომაზე არ განუხილავთ. მათ შორის განიხილეს საკითხი რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენისა ბრიუსელში მომავალ ექსპერტების ყრილობის შესახებ, სადაც განიხილავენ საკითხს, თუ როგორი ზომები უნდა მიიღონ იმ შემთხვევაში, თუ კონსტანტინე დაბრუნდა ტახტზე. ლოიდ ჯორჯმა აუწყა ლეიგს, საბჭოთა მთავრობასთან შეთანხმების საფუძვლები. ლეიგმა აღნიშნა ინგლისისა და საფრანგეთის თვალსაზრისის განსხვავება და დაუმატა, რომ საფრანგეთის მთავრობა საკითხის ახალ განხილვამდე ძველ გადაწყვეტილებაზე დარჩება. ერთად-ერთი, რისი გაკეთებაც შეიძლება, ეს არის ის, რომ საფრანგეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწარმოებლებს მიეცემათ ნება რუსეთთან სხვა და სხვა კომერციულ ხელშეკრულების დადებისა, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობა მათ უნდა მიიღონ. რაც შეეხება ფინანსიურ ზომებს, ის მდგომარეობს მაში, რომ ტახტზე თუ კონსტანტინე ისევ დაბრუნდა, მაშინ საბერძნეთს ფინანსიურათ აღარ დაეხმარებიან. ამ საკითხშიც შეთანხმება მოხდა.

## სომხეთი

დეკემბრის 3 კარაკლისში მოვიდა რუსეთის ჯარის მოწინავე ნაწილი.

დეკემბრის 3 ერევანში დაარსდა ადგილობრივი რევკომი, რომელმაც საბჭოთა მთავრობა გამოაცხადა.

ახალ მთავრობაში დაშნაკელები არ შედიან. დრო დარჩა ჯარის მთავარ სარდლათ პერსონალურათ.

სომხეთში საბჭოთა მთავრობის გამოცხადების წინა დღეებში სრული არევ-დარევა მეფობდა. ქაღალდის ფულმა ყოველგვარი ღირებულება დაჰკარგა. იძარცვებოდა ყველა ვისაც შეეძლო, თვით მინისტრიც კი.

## ტფ. ქალაქის გამგეობაში.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა: გადაეცეს გვირგვინის მაგიერ კომიტეტის განკარგულებაში 20.000 მანეთი გარდაცვალებულ ლადო მესხიშვილის ობლების დასახმარებლად.

— თებერვლის 2 ს, 1921 წლის ქალაქის თვითმართველობის ვადის გასვლის გამო ბ-ნ მაჭავარიანს და ხახანაშვილს დაევალა შეადგინონ ხარჯთ-აღრიცხვა ქალაქის მცხოვრებთა აღსაწერათ. ხარჯთ-აღრიცხვა უკვე დამთავრებულია და წარდგენილია მთავრობის დასამტკიცებლად. მუშაობის დასაჩქარებლად ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცებამდის გამგეობამ წინასწარ ხარჯების დასაფარავად 500.000 მან. გაიღო. ქალაქის გამგეობა შევიდა მთავრობაში შუამდგომლობით მიეცეს უფლება იმ ელექტრონის სადგურების რეკვიზიციისა, რომლებიც ან არ ამუშავებენ, ან გაყიდული იქნებიან პატრონების მიერ.

## მუნიციპალ. ცხოვრება

**ზესტაფონის ქალაქის საბჭოში.**

უკანასკნელი დადგენილებანი:

— ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სიიდან მოწვეულ იქნენ არ. არაბიძე, ფილ. ჩიკობავა და ირაკლი მიქაძე.

— აღიძრას შუამდგომლობა სამინისტროს წინაშე რათა ქალაქის გამგეობას მიეცეს ნებართვა კლუბის ბინის რეკვიზიციისა თუ ამის პასუხი არ მოვიდა ა. წ. 21 ნოემბ. მაშინ ქალაქის გამგეობა დაბრუნდეს ძველ ბინაზე და გიმნაზიისთვის განთავისუფლდეს გორგაძის ბინა.

— შეკეთებულ იქნეს სასამართლოს ეხლანდელი ბინა. ხარჯები კი განაწილებულ იქნეს ქალაქის და ერობის შორის შემდეგის სახით: ქალაქმა გაიღოს ხარჯების მესამედი, ორი წილი კი ერობამ.

— ქალაქის მოურავის მოადგილეთ ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქნა შალვა როსტომის ძე თუთბერიძე. გამკეობას წევრად კონსტანტინე ცერცვაძე.

— მიენდოს ქალაქის გამგეობას გამართონ მოლაპარაკება გიგო თუთბერიძესთან შეღავათიან ფასებში შენობის შეძენის შესახებ.

— დაევალოს გამგეობას თანახმად წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვისა გახსნას მუნიციპალური საყახპო და მიეცეს მას ნებართვა ერთი მილიონი მანეთის სესხის მთავრობიდან აღებისა საყასპოს გასახსნელად.

## იუსტიციის სამინისტროში

დეკ. 4 იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით შესდგა კანონთა გადამსინჯავ კომისიის პლენარული სხდომა. ამ სხდომაზე მიიღეს კანონ-პროექტი სამხედრო სასამართლოებისა და ომიანობის დროს სასამართლოთა გაუქმების შესახებ.

ახალი პროექტის მიხედვით ომიანობის დროს იმოქმედებს ჩვეულებრივი სასამართლოები, ე. ი. სამომრიგებლოდ საოლქო, რომელიც შესდგება 3 წევრისაგან—ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის მიუღებლათ. ეს სასამართლო იმოქმედებს იმავე წესით, როგორც საერთოდ მოქმედებს ჩვეულებრივ სასამართლო ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. ომიანობის დროს იუსტიციის მინისტრს სამხედრო მინისტრთან შეთანხმებით უფლება ეძლევა საომარ ასპარეზზე გაგზავნოს საოლქო სასამართლოს წევრები იქ მომხდარ ამბების გასარჩევად. მთავარ სარდლის შტაბთან მივლინებული იქნება პროკურორის ამხანაგი და ორი გამომძიებელი. პროკურორი თვალყურს ადევნებს სამხედრო მოსამსახურეთა საქმეების კვლევა-ძიების საქმეებს, გამომძიებლები კი წინასწარ გამოძიებას აწდენენ. საჭიროებისამებრ იგზავნებიან აგრეთვე მომრიგებელი მოსამართლენი. ამასთანავე პროექტი სამხედრო დროის საქმეების წარმოების განსაკუთრებულ წესებს ამყარებს: ისპობა საქმის სააპელაციო წესით გასაჩივრება. მომრიგებელ-მოსამართლეთა განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ უახლოეს საოლქო სასამართლოში და საოლქო სასამართლოს განაჩენისა კი რესპუბლიკის სენატში განაჩენთა გასაჩივრების ვადა შემოკლებულია. განაჩენი იმ სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, რომელთაც გამასწორებელ რაზმზე უფრო დიდი სასჯელი არა აქვთ მისჯილი, შეიძლება დროებით შეჩერებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო უფროსები საჭიროდ დაინახავენ ამ პირის ჯარში დატოვებას.

## მუშა-მოსამსახურეთა კრება

კვირას, დეკემბრის 5, სახალხო სახლში შესდგა სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთა ფრაქციათა და პროფეს. კავშირების წარმომადგენლების კრება. დაესწრო ხუთასამდე კაცი, თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბ-ნი ქელბაქიანი, მის ამხანაგად ბ. გვიმიჩავა.

კრების საგანს შეადგენდა: 1) შრომის კანონი და 2) ეკონომიური მდგომარეობა. ბ. ქელბაქიანმა გააკეთა მოხსენება პირველ საკითხის შესახებ და კატეგორიულად აღნიშნა, რომ მიღებული კანონი შრომის შესახებ უსათუოდ უნდა ვრცელდებოდეს სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებზედაც, რათა დაცულ იქნას გონებრივად მუშაკის, როგორც ეკონომიური ისე უფლებრივი მხარეო. მომხსენებელმა მოიყვანა რამდენიმე დეფექტები ჩვენი ზოგიერთი დაწესებულებების ადმინისტრატორთა და მოსამსახურეთა შორის უთანხმოების შესახებ.

დამფუძნებელ კრების წევრი შრომის კომისიის სახელით უპასუხებს მომხსენებელს და აღნიშნავს, რომ შრომის კანონი უსათუოდ ვრცელდება სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებზედაცო, საჭიროა მხოლოდ კანონის ამ მუხლის განმარტება, გაგება ცხოვრებაში გატარებაო.

შემდეგ ლაპარაკობს დამფუძნებელ კრების წევრი (წევრი აგრეთვე იურიდიულ კომისიისა) ვიქტ. თევზაია, რომელიც კატეგორიულად აცხადებს, რომ კანონი ვრცელდება სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეებზე; მხოლოდ ძნელი მოსახერხებელი გახდა უფრო ნათლად ჩამოგვეყალიბებინა კანონის ის მუხლი, რომელიც ეხება სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავეთა უფლებრივ მხარესო; მალე შემუშავებული იქნება კანონის განსამარტებლად ინსტრუქცია, რომელიც გაფანტავს გაუგებრობას ამ კანონის გარეშეო. შემდეგ ორატორი სურვილს გამოსთქვამს, რომ კანონის განსამარტებლად მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს აგრეთვე მოსამსახურეთა კომიტეტის წარმომადგენელმაცო. ზოგიერთ შეკითხვებზე პასუხის მიცემის შემდეგ ლაპარაკობენ ფრაქციების წარმომადგენლები. პირველად ლაპარაკობს ბ. ს. დადიანი (ს.-ფედ.), ეხება ინტელიგენტურ შრომის მნიშვნელობას სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, ეხება უფლებრივ მხარეს და ამბობს, რომ კანონი არ ვრცელდება მუშა მოსამსახურეებზე; შემდეგ ლაპარაკობს დამფ. კრების წევრი ბ. შ. ნუცუბიძე, ბ. ტ. მარგველაშვილი და სხვანი.

დასასრულ კრებამ დაადგინა, გაუგზავნოს ოფიციალური შეკითხვა დამფუძნებელ კრების იურიდიულ კომისიას იმის ნათლად გამოსარკვევად, ვრცელდება თუ არა შრომის კანონი სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებზედაც.

კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა დამფუძნებელ კრებას სახალხო გვარდიას და ჯარს.

მეორე საკითხის შესახებ მსჯელობა გადაიდო სიგვიანის გამო.

## ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტში.

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის ყველა სექცია ენერგიულ საორგანიზაციო მუშაობას აწარმოებს. აგროვებენ თეთრეულებს, ხელთათმანებს, თბილ წინდებს, თუთუნს, პაპიროსებს, საპონს, წიგნებს, ჟურნალებს, გაზეთებსა და სხვ. ნივთების შეკრების უფლება აქვთ იმ პირებს, რომლებსაც ექნებათ მთავარი კომიტეტის მიცემული სათანადო რწმუნებულებანი და წიგნაკები.

იმ მიზნით, რომ ფართო საზოგადოებამ იცოდეს, თუ რა ხდება კომიტეტში, კომიტეტმა გადასწყვიტა თავის მოღვაწეობის შესახებ ამცნოს საზოგადოებას ქალაქის სხვა და სხვა ადგილსა და კერძოთ საქართველოს დეპეშათა სააგენტოსთან თავის ვიტრინათა მოწყობით და შიგ შემომწირველთა სიების გამოქვეყნებით.

ადგილობრივი განყოფილებებთან მუშაობის შეთანხმების მიზნით მთავარმა კომიტეტმა პროვინციაში დააგზავნა სათანადო ინსტრუქციები.

საორგანიზაციო საქმეების გათავების შემდეგ განზრახულია შემწირველთა მოსაკრებათ თბილისსა და პროვინციაში დეკემბრის 19—20 ფრონტის სასარგებლოდ „ნაძვის ხეების“ დღე მოაწყონ.

## სენატი

1920 წლის, დეკემბრის 9 სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულო სასამართლო სხდომაში განსახილველად დილის 10 საათზე დანიშნულია შემდეგი საქმეები:

საქ. № 98. მაგ. 1. საკასაციო საჩივარი თედო გავაშელაშვილისა ქუთაისის ოლქის სას. განაჩენზე, რომლითაც იგი ცნობილია დამნაშავედ 2 ნაწ. 1455 მუხ. აღნიშნულ ბოროტ-მოქმედებაში.

საქ. № 99. მაგ. 1. საკასაციო საჩივარი დიმიტრი თოფურიძისა ქუთაისის ოლქის სას. განაჩენზე, რომლითაც იგი ცნობილია დამნაშავედ სპეკულიაციაში.

საქ. № 84. მაგ. 2. საკასაციო საჩივარი ბარნაბ ჩავლეშვილისა გურიის ოლქის მომრიგებელ მოს. ყრილობის განაჩენზე, რომლითაც იგი ცნობილია დამნაშავედ 119, 134 და 135 მ. სას. წესდ.

საქ. № 80. მაგ. 2. საკასაციო საჩივარი ალექსი ცნობილაძისა, ქუთაისის მაზრის მომრიგებელ მოს. ყრილობის განაჩენზე, რომლითაც იგი ცნობილია დამნაშავედ თვითნებობაში.

საქ. № 143, მაგ. 1. საკასაციო საჩივარი ივანე ნუჩინსკის, ტფილისის ოლქის სას. განაჩენზე, რომლითაც იგი ცნობილია დამნაშავედ სას. დებ. 3 ნ, 1655 აღნიშნულ ბოროტ-მოქმედებაში.

## ხელოვნება

**„ზღვასთან“.**

დეკემბრის 5-ს სახელმწიფო დრამის თეატრში დაიდგა სამ მოქ. პიესა ენგელსისა „ზღვასთან“, თარგმანი შალიკაშვილისა. პიესაში განსახიერებულია ზოგიერთი მომენტები ოჯახური დრამიდან; მეთევზე კლასს დრიუკი, მეტად კეთილი, სადა მშვიდობიან ცხოვრების მოყვარული პიროვნება შეუღლდა ახალგაზრდა ქალური გრძნობით აღსავსე გედვიგასთან; მაგრამ ამ შეუღლებას არ ქონია საფუძვლად შეუღლების ნამდვილი ფაქტორი—სიყვარული; ეს შემთხვევით მოხდა იმ დროს, როცა საზღვარ-გარედ წავიდა ჰეინრიხი, სიცოცხლითა და სახარულით სავსე პიროვნება, რომელიც ბავშობიდანვე დაუმეგობრდა გედვიგას, რომელთანაც ის იზრდებოდა და ეცნობოდა ცხოვრებას, მიწიურ სხვა და სხვა განცდებს; კლასსი გრძნობს, რომ გედვიგა სხვას ეკუთვნის, რომ მისი სული სხვას ესალმუნება, იცის ეჭვით და ფხა აღრჩობს, იტანჯება, ვერ ისვენებს; სულის ყუდროების მოსაპოებლად ის ფიცს ართმევს თავის ცოლს, რომ ის მხოლოდ მას ეკუთვნის, რომ ის მას არასოდეს არ უღალატებს, რის შემდეგ მორწმუნე კლასი მშვიდდება; მას უბრწყინდება და გულდაიმედებული მიდის თავის საქმეზე; რჩება მარტო გედვიგა, მაგრამ დაბრუნდა ჰეინრიხი, ახალგაზრდა ქალის გულში კვლავ გაღვივდა პირველი სიყვარულის კოცონი; აქ იწყება მისი საშინელი ტანჯვა; ებრძვის საძ მოზღვავებულ გრძნობას: ფიცის გატეხა და დედობრივ სიყვარულის უარყოფა (ყავთ პატარა, ლამაზი გოგონა) თუ ჰეინრიხის დათმობა. იმარჯვებს მესამე—ჰეინრიხს მიყავს სამუდამოთ გედვიგა, რჩება უნუგეშოთ, იმედებ დამსხვრეული კლასსი, რომელიც იტაცებს უდროთ დარჩენილ შვილს და ზღვის ტალღებში პოებს მოსვენებას...

ძალიან კარგად განასახიერა კლასის ტრაგიკული განცდანი ბ-მა ა. იმედაშვილმა. კარგი იყო ჰეინრიხის როლში ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობი მ. ჭიაურელი. დანარჩენი მონაწილენიც მოხდენილად თამაშობდენ.

№ 82.

## მილიციაში

— სისხლის სამართლის მილიციის უფროსის განკარგულებით დაპატიმრებულია ადმინისტრატიული წესით და მოთავსებულია № 1 ციხეში ორი თვის ვადით ცნობილი ჯიბგირი ლავრენტი სისოს ძე ბარკალაია, როგორც ბოროტ-მომქმედთა ჯგუფის წევრი.

— 2 დეკემბერს, დაპატიმრებული და მოთავსებულნი არიან სისხლის სამართლის მილიციის საპყრობილეში შემდეგი პირნი: შოფერი თბილისის არსენალისა აპოლონ ნესტორის-ძე ჯაფარიძე და მისი თანაშემწე გიორგი რომანის-ძე ბეჟირაშვილი, მომხთარ კვლევა ძიებით ამავე მილიციის მოხელეებმა გამოირკვიეს, რომ ზემოხსენებული პირები აკეთებდენ ყალბი ჩეკებს, ყალბი ხელის მოწერით არსენალის მოსამსახურეებისა კოოპერატივის გამგის ანდროსოვის სახელით და ამ გზით ღებულობდენ პურს, ნავთს და სხვა სანოვაგებს, რაშიდაც ისენი გამოტყდნენ და აღიარეს ყოველივე სიმართლე. დაპატიმრებულნი კვლევა ძიების ოქმითურთ გადაგზავნილი არიან სათანადო უბნის მომრიგებელ მოსამართლეს განკარგულებაში.



## განცხადებანი

დაიკარგა პირადობის მოწმობა ალი გული აბასოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან, გაუქმებულად ჩაითვალოს.

3941 3—3

დაიკარგა პასპორტი შაბად ბაგრამ ოღლის სახელზე, მიღებული ბორჩალოს მაზრის კომისარისაგან, გაუქმებულად ჩაითვალოს.

3953 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 94, ლუკიანე მალონჩის ძე თაბუკაშვილის სახელზე, მიღებული ხარაგულის საზოგადოებიდან. 1915 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს.

3969 3—3

დაიკარგა პასპორტი № 16962 აშრაფ-მამედ ალი ოღლის სახელზე, მიღებული განჯაში, გაუქმებულად ჩაითვალოს 3961 3—3

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად ვალერიანე ლუკას ძე რუხაძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პასპორტი მიცემული ამავე სამმართველოდან და სამსახურის ნუსხა, მიცემული ქუთაისის პირველი პოლკიდან № 1024, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ. 3978 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული სპარსეთის საკონსულოდან; 6000 მ. კვიტანცია, მიღებული მუშათა მაგიდიდან; სასახლისათვის ორი ათასი აგურის საფასურის 36.000 მან. ანგარიში; ხელწერილი შეშის მოტანის შესახებ მოცემული კონს. სოლ. მელიქაძისაგან და ექსპედიციის ახალ შენობის მწარმოებელთაგან მიღებული აგურის საფასურათ 63.960 მ. მისაღებად მამედ გუსეინოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.

3966 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული საჩხერის თემიდან და 60000 მ. კვიტანცია, მიღებული იაშა საღბედოვისაგან შალვა დავითის ძე მეგრელიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4012 3—2

დაიკარგა მატრიკული მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტიდან ნადია ბერულავას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.

4045 3—2

დაიკარგა დუბლიკატი 2 შეკვრა მანუფაქტურის ბათუმის საბაჟოდან მიღების შესახებ რუბენ ვართანოვის სახელზე, საქონელი გამოგზავნილია სტამბოლიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.

4061 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ტამბოვის სახაზინო პალატიდან და მოწმობა, მიღებული ხარკოვის უნივერსიტეტიდან—ნიკოლოზ პეტრეს-ძე სმირნოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს.

4056 3—2

დაიკარგა მოწმობა № 19553, ოვანეს კარაპეტის ძე მუკდუსი აკოფოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3948 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 4835, მიღებული ტფ. პოლიც. სამმართველოდან 1909 წ. და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, ლევან ალ. სარკისიანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4052 3—2

დაიკარგა სალექციო წიგნაკი № 1840 სახელმწიფო უნივერსიტეტის სამათემატიკო საბუნების-მეტყველო ფაკულტეტის (აგრონომიულ დარგმს) მესამე სემესტრის სტუდენტის დიმიტრი ივანეს ძე ტაბიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4054 3—2

ტფილისის ეპარქის სამიტროპოლიტო სასამართლოში პეტრე ივანეს ძე ერეკლეშვილმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი მეუღლე მარიამ გრიგოლის ასული, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1900 წელს უკვალოდ დაიკარგა 1910 წლიდან, ყველა ვინც იცის მარიამ გრიგოლის ასულის ერეკლეშვილის მისამართი საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით ვალდებულია სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭვდის ორი თვის განმავლობაში. 4051 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი არშაკუნის ბანდში, № 13 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის გეორგობიანს, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4002 3-2

დაიკარგა პასპორტი სედრაკ არაქელოვის სახელზე, მიღებული სომხეთის წარმომადგენლისაგან საქართველოში, და მეეზოვეთა კავშირის წიგნი. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3993 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 180 დავით პეტრეს ძე მელიკიანის სახელზე, მიღებული სუხუმის ქალაქის მილიციიდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4028 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი ერვან გუკასის ძე მოსირხანიანცის სახელზე, მიღებული ბათომის მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4011 3—2

დაიკარგა პასპორტი № 597, სარა ტერაგას ასული ამბარცუმოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3955 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი სილიბისტრო სიმონის ძე სალარაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4003 3—3

საგარეჯოს თემის გამგეობა აცხადებს რომ ქვემომოხსენებული პირნი, რომელიც ცხოვრობენ თემის გარეთ და თემმა არ იცის მათი მისამართი, როგორც დაბადებულნი 1900 წ. გაწვეული არიან სამხედრო ბეგრის მოსახდელად და უნდა გამოცხადდნენ აღრიცხვაზედ საგარეჯოს თემის სამმართველოში 1920 წ. ნოემბრის 18 რიცხვს.

სოფ. ნინო წმინდის მცხოვრებნი 1. ბაიარამაშვილი იაკობ ანტონის ძე 2. შიოშვილი იოსებ დიმიტრის ძე 3. მინასიანცი სარქის პეტრეს 4. აბესაძე ალექსანდრე აბრამის ძე 5. როსტიაშვილი ნიკოლოზ დავითის ძე 6. ბათილაშვილი სოლომონ დავითის ძე კაკუტაშვილი ლევან დავითის ძე.

უგზო უკვალოთ დაკარგულები: მცხ. სოფ. თარაქს აფციაური ვასილ ივანეს ძე.

მცხ. სოფ. საგარეჯოს 1. პაპუკაშვილი გიორგი ივანეს ძე 2. შაქარაშვილი ივანე სანდროს ძე 3. თუშიშვილი დავით ალექსის ძე 4. ქიტიაშვილი ანდრია ივანეს ძე 5. ხუციშვილი გიორგი ალექსის ძე 6. ამბროლიძე ქიტესა გიორგის ძე.

ეს უკანასკნელნი თუ სადმე ცხოვრობენ მოვალე არიან გამოცხადდნენ აგრეთვე სამხედრო ბეგრის მოსახდელად ზემოხსენებულისამებრ. 996 1—1

ხრესილის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ მცხოვრებ ს. ოხომირაში, ქუთაისის მაზრისა, იობა ადამას ძე ვირსალაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თვისი უფლება ხსენებულ იობა ვირსალაძის დანაშთ ქონებაზე სამოქალაქო კანონთა კრებულის 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 3749 1—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ბათუმში, „მაუზერის" სისტემის რევოლვერის ტარების ნებართვა, მიღებული შინ. საქმეთა სამინისტროდან და ცხენის მოწმობა—რიფედ ოსმან ქირნათელ ოღლის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3945 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ს. ხვანჭკარის (რაჭის მაზრა) თემიდან და ჯარში გაწვევ უბანზე მიწერილობის უწყება, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან ნიკოლოზ მოსეს ძე ჭარბაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4029 3—2

დაკარგულია პასპორტები სოფიო მიხეილის ასული ლეონტოვიჩის, ევგენი კონსტანტინეს ძე ლეონტოვიჩის და მარიამ კონსტანტინეს ასული ბაიკოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3990 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა არშაკ მიხეილის ძე არზუმანოვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3987 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა ბაგდან რომანის ძე არზუმანოვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3988 3—2

დაიკარგა ორი თვის შვებულების ბარათი № 3932 არშაკ ავეტიკას ძე მარტიროსოვის სახელზე, მიღებული მე-5-ე ქვეითა რაზმიდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 3989 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 237 აბელი ზურაბის ძე ელაგაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4021 3—2

დაიკარგა ს. სარგვეშის (შორაპნის მაზრა) ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების მოწმობა № 37 ონიფანტე აბაშიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4025 3—2

დაიკარგა მოწმობა № 5776 პრასკოვია ფოკის ასული ოგნევის სახელზე, მიღებული რუსთა ნაციონალური საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3996 3—2

დაიკარგა პასპორტი ტატიანა პავლეს ასული კოზლოვის სახელზე, მიღებული მეთორმეტე კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3991 3—2

დაიკარგა ტფ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტიდან მიღებული მოწმობა სტ. ვლადიმერ შჩეპკინის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4004 3—2

დაიკარგა მოწმობა მეხუთე ვაჟთა გიმნაზიის მერვე კლ. მოწაფის ალექსანდრე გოსტმანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4001 3—2

ტფილისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში ივლიანე თადეოზის ძე პაიჭაძემ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი სიმა იგივე დებორა იაკობის ასული პაიჭაძისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1915 წელს უკვალოდ დაიკარგა 1915 წლიდან, ყველა ვინც იცის სიმა დებორა პაიჭაძის მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით ვალდებულია სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭვდისა ორი თვის განმავლობაში. 3983 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 2530 ლევან გრიგორის ძე შალევოვის (იგივე შალიკოვის სახელზე. მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3998 3—3

დაიკარგა პასპორტი № 612 იახია ბახრამოვის სახელზე. მიღებული შუშის მაზრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3997 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა ადილ გაჯიევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფრ. სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3985 3—3

აქციზის სამმართველო აცხადებს, რომ საარაყე ქვაბის პატრონმა ყაზარა რევაზოვმა დაჰკარგა თავის საარყე აპარატის გაზომვის ოქმი. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3986 3—3

დაიკარგა პასპორტი № 2319 მარუქა გუკასიანის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4060 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოსეს ალექსის ძე დაშნოიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუმებულად ჩაითვალოს. 3943 3—3

დაიკარგა პასპორტი ოსმალეთის ქვეშევრდომობის არტობეს ნიკოლოზის ძე შახმურადოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3958 3—3

დაიკარგა სომხეთში წასვლის ნებართვა ფედა ყაზარის ასული გრიგოროვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3947 3—3

დაიკარგა პასპორტი № 120 იდრისი იუსუფოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3984 3—3

დაიკარგა პასპორტი აგაჯან ცნოქის ძე ქარტაშიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4069 3—2

დაიკარგა პასპორტი იაკობ ავეტისას ძე ტეპანოსიანცის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან 1908 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4070 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა მანუახ მოშეს ძე მანაშეროვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4076 3—2

დაიკარგა სად. ქარელიდან ფქვილის ჩამოტანის ნებართვა ნიკ. დიმიტ. ჯიჩაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან, გაუქმებულად ჩაათვალოს. 4069 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 3520 ივანე გოძიევის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4068 3—2

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ალექსი ალექსის ძე არაფელოვმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი იულია ნიკოლოზის ასული არაფელოვისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1914 წ. უკვალოდ დაიკარგა 1915 წლიდან, რის გამო თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგულ იულია არაფელოვის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 4073 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი სერეტანის ქ. მცირე ბანდში № 4 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ოგანჯანოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4063 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული კულაშის თემიდან და ნუსხა, მიღებული ქუთაისის სამხედრო აღრიცხვის უფროსაგან ისხაკ აბრამის ძე გირილაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4026 3—3

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა პელაგია ალექსანდრეს ასული კლიმოვის სახელზე. მიღებული სტავროპოლის ეკლესიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4037 3—3

დაიკარგა აღმასრულებელი ფურცელი № 958, მიღებული ჩხარის უბნ. მომრიგ. მოსამართლესაგან 1914 წ. თედორე კირკიტაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4025 3—3

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად იორამ იოსების ძე ლოსაბერიძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პასპორტი და ნუსხა, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. 4020 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი ტერ-გუკასოვის ქ. № 19 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის მოგილევსკის. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4031 3—3

დაიკარგა პასპორტი აკულინა სტეფანეს ასული ეფიმოვის სახელზე, მიღებული კავკავის მილიციიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4077 3—1

დაიკარგა პასპორტი № 198 დარია ანტონის ასული კრივოშეევის სახელზე, მიღებული ბაქოს მილიციიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4078 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 2865 თამარ ნიკოლოზის ასული ქანდიევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან გაუქმებულად ჩაითვალოს. 4079 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 5570 ამაიაკ ტიგრანის ძე აგაბაბიანცის სახელზე, მიღებული სომხების კონსულისაგან ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4082 3—1

დაიკარგა პასპორტი გრიკორ გეორქას ძე არიუტინიანცის სახელზე, მიღებული ახალციხეში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4086 3—1

დაიკარგა პასპორტი № 286 ფუზი ბექირის ასული ანზაროვას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4088 3—1

დაიკარგა პასპორტი № 23112 ხაიმ ზელიკ აბრამის ძე პლისის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4083 3—1

ტფილისის მე-5 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვლებულ გიორგი ალექსანდრეს ძე პიტოევის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება პიტოევის ქონებაზე სამ. კან. კრებ. 10 ტ. 1 ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 3725 1—1

ქალაქ ქუთაისის 1 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს სტეფანე იგივე ანტონ ანტონის ძე გალუსტოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სტეფანე იგივე ანტონ ანტონის ძე გალუსტოვის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 3742 1—1

ყვარლის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სოფ. ყვარელში მცხოვრებელ კოტე ჩხეიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება ჩხეიძის უძრავ მოძრავ ქონებაზე, სამოქ. კან. კრებულის მე 1241 აღნიშნულ ვადაზე. 3743 1—1

ყვარლის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ სოფ. ყვარელში მცხოვრებელ ანდრია ზაქარიას ძე თამაზოლლიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება თამაზოლლიშვილის ქონებაზე სამოქ. კანონთა კრებულის მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაზე. 3743 1—1

ქ. ფოთის მომრიგებელი მოსამართლის 1920 წლის 14 ოქტომბრის დადგენილებით, ვექილობა, მიცემული იესი პეტრეს ძე გოგოლაშვილის მიერ ივანე პეტრეს ძე გოგოლაშვილზე და შედგენილი ფოთის ნოტარიუსი ვესტფალსკისთან 1919 წელს 21 იანვარს № 81 გაუქმებულია. 3745 1—1

ქუთაისის მეოთხე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს მემკვიდრეებს, მცხოვრებს ქალ. ქუთაისში, გარდაცვალებული ნიკიფორე ყარამანის ძე მანდარიასას, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სამ. კანონ. კრებ. 1241 მუხლში აღნიშნულ ვადაში. 3746 1—1

ქალაქ ქუთაისის მეხუთე უბნის მომრიგებელი მოსამართლე ამით აცხადებს, რომ ვექილობა სიმონ პეტრეს ძე ქორქაშვილის მიერ მიცემული ნაფიც ვექილ. მიხეილ ნიკიფორის ძე ბერძენიშვილისათვის, რომელიც არის დამტკიცებული ქუთაისის ნოტარიუს კოკოჩაიშვილის მიერ 27 აგვისტოს 1918 წ. რეესტრი № 1330, 25 ოქტომბერს ა. წ. დადგენილებით გაუქმებულია. 3747 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა 5 ნოემბერს 1920 წ. საქმე გარდაცვალებ. 5 სექტემბერს 1920 წ. გიორგი ალექსანდრეს ძე უტეშოვის ნოტარიალ სასულ. ანდერძის დამტკიცების შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას. 3613 1—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ [illegible]